მედეა (დოდო) ღლონტი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
არნ.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ენა - სიტყვით შეკრული საზოგადოება

დღეისათვის კვლავაც გადასაჭრელია ქართული ენის (ანუ - საქართველოს სახელმწიფო ენის) გრამატიკის სკოლაში სწავლების პრობლემა, იქნება ეს შეუსაბამობა ქართული ენის სტანდარტულ პროგრამასა და სახელმძღვანელოებში „ინფორმაციულად“ მიწოდებულ მასალას შორის, ამ დისციპლინის ცალკე, დამოუკიდებელი სასკოლო სახელმძღვანელოების არარსებობა თუ გრამატიკისათვის განკუთვნილი უკიდურესად შემცირებული საათობრივი განაკვეთი. განსაკუთრებით საგრძნობია და მტკივნეული სათანადო ფუნდამენტურ მეცნიერულ დონეზე შედგენილი მეთოდიკური სახელმძღვანელოს არარსებობაც. ამას ემატება მოსწავლის ინდიფერენტული დამოკიდებულება გრამატიკისადმი, რასაც უმთავრესად სწორედ გრამატიკის სწავლების ჯერ კიდევ დაუხვეწელი მეთოდიკა განაპირობებს.

ქართული ენის გრამატიკის სწავლების თემატიკა საგრძნობლად ვრცელია და ითხოვს როგორც გრამატიკის ყოველი შემადგენელი ნაწილის (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, სემანტიკა) **კონკრეტიზებას**, ისე მათ მთლიანობრივ, **სისტემურ** გააზრებასა და შესწავლას (ცხადია, სწავლების საფეხურების გათვალისწინებით). ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაკავშირებულია გრამატიკის (საზოგადოდ, ენათმეცნიერების) შესწავლისა თუ კვლევის საგანთან - **ენასთან**, ვითარცა ერთიან, მთლიანობრივ სისტემასთან. ამ სისტემის ქვაკუთხედი ან, გნებავთ, დედაბოძი კი გახლავთ მისი უდიდებულესობა **სიტყვა**!

ძველ ქართულში პოლისემანტიკური (მრავალმნიშვნელობიანი) **სიტყვა** 20-ზე მეტ მნიშვნელობას იტევდა, შდრ.:

ძვ.ქართ. **სიტყუა** - „სიტყვა; თქმული, თქმა; თხრობა; მეტყველება, ლაპარაკი, საუბარი; კილო; პასუხი; მცნება; პირი, პირობა, შეპირება, პირობის შეკვრა; ამბავი, მოძღვრება; ბრძანება; ნებართვა; ბრალი; ანგარიში; საქმე; წინადადება (გრამატ.)“ (ი.აბულაძე; ზ.სარჯველაძე; ივ.იმნაიშვილი; დ.ჩუბინაშვილი).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ქეგლ-ი) განგვიმარტავს: „**სიტყვა** - აზრის ჩამოყალიბებისა და გაგებინების საშუალება საზოგადოებაში; მეტყველების უნარი, მეტყველება, ლაპარაკი; მეტყველების ნაირსახეობა, გადმოცემის თავისებურება, სტილი“.

ასევე პოლისემიურობით გამოირჩეოდა ძვ.ქართ. **ენა:** „ენა; სიტყვა; ძალი სიტყვიერებისა ან საუბრისა; სიტყვიერება; განსაკუთრებული გვარი საუბრისა თვითოეულს ერთა შორის“; ენოვნება; მრავალმეტყველება; ყბედობა; ლაპარაკი“ (ი.აბულაძე; ზ.სარჯველაძე; დ.ჩუბინაშვილი). თავის მხრივ, **ენა,** ვითარცა **სიტყვა, სიტყვიერება**, ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია **ერის** სალექსიკონო განმარტებაში:

„ძვ. ქართ. **ერი** - მდაბ. ხალხი; ნათესაობა კაცთა, **განსაკუთრებული ენითა**, შთამომავლობითა, სარწმუნოებითა, სიმრავლე კაცთა ერთად-შეკრებილთა; ჯარი; მახლობლები“ (ი.აბულაძე; დ.ჩუბინაშვილი; ზ.სარჯველაძე; ივ.იმნაიშვილი); შდრ.: ქეგლ-ში: „**ერი** -ადამიანთა ისტორიული ჩამოყალიბების მყარი ერთობა, წარმოქმნილი **ენის**, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის საფუძველზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა; ხალხი, საზოგადოება; (ძვ.) თავმოყრილი შეჯგუფებული ხალხი; კრებული“.

სიტყვის, ენისა და **ერის** წარმოდგენილი სალექსიკონო განმარტებანი გვარწმუნებს, რომ სწორედ **სიტყვა** და **ენა,** ანუ **სიტყვიერება** და **ენოვნება** არის ერის, ანუ მშობლიურ ენაზე მეტყველ ინდივიდთა ერთობის, ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი, მისი მახასიათებელი, კერძოდ, ის, რომ კაცთა ისტორიულ-ნათესაობრივი ერთობა, თავისი არსით, **„ენით შეკრული საზოგადოებაა“** (გურამ რამიშვილი).

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ენაც**, თავის მხრივ, შეადგენს ერთგვარ **სიტყვით შეკრულ საზოგადოებას,** რადგან სწორედ **სიტყვა** განაწესებს „ენობრიობის პრინციპით“ ამუშავებულ იმ მორფოლოგიურ და სემანტიკურ მექანიზმს, რომლითაც აიგება წინადადება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ქართული სიტყვის მორფოლოგიის სწავლების** გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი ხდება ყოველი

კონკრეტული შესასწავლი საკითხის **სისტემურად გააზრება** და **კომპლექსურად გაანალიზება**.

წინამდებარე წერილში შემოგთავაზებთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც, ვიმედოვნებთ, გარკვეულწილად შეეწევა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს გრამატიკული ტერმინოლოგიისა და მეტყველების ნაწილთა სწავლებისას.

გრამატიკის შეწავლის საგანი:

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერების (ლინგვისტიკის - ლათ. **lingua** „ენა“) შესწავლის საგანია **ენა.** თუმცა ენათმეცნიერების კონკრეტული საანალიზო ობიექტი, როგორ ზემოთ უკვე ითქვა, საბოლოო ჯამში, არის **სიტყვა** - მისი ბგერობრივი, ფორმობრივი, სემანტიკური, სიტყვათწარმოებითი, სიტყვათშეერთებითი თუ სხვა მახასიათებლებით.

სიტყვა, ადამიანის მსგავსად, საიდუმლო ერთობაა ხილული ფორმისა და უხილავი მნიშვნელობისა (სემანტიკისა). ენის შემსწავლელი მეცნიერების კვლევის არეალში მოქცეულია როგორც სიტყვის ფორმობრივი, ანუ ხორციელი აგებულება (ასო-ბგერის წარმოთქმის ორგანოები, სიტყვისა თუ წინადადების სტრუქტურა, მაწარმოებლები, ბრუნვა-უღლება...), ისე სიტყვის მნიშვნელობა, ანუ სულიერი ბუნება (ასო-ბგერისა თუ მარცვლის გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობა, სიტყვის ამოსავალი სემანტიკა, წინადადების აზრი, ტექსტის შინაარსი...).

გრამატიკა (ბერძნ. **grammatiké** „ასო; დაწერილობა“) პირობითად იმ მიზნით არის დაყოფილი ნაწილებად, რომ ენის საიდუმლო კანონები და კანონზომიერებანი იოლად შევიცნოთ და გავაცნობიეროთ. **ფონეტიკა**, **მორფოლოგია, სინტაქსი**, **სემანტიკა (სემასიოლოგია), ლექსიკოლოგია** სიტყვას შეისწავლის და აანალიზებს სხვადასხვა პოზიციითა და დანიშნულებით, კერძოდ::

ფონეტიკა (ბერძნ. **phone** „ხმა; ბგერა“; **phōnētikós** „ხმიერი; ბგერობრივი“) - შეისწავლის სიტყვის ასო-ბგერობრივ რაობასა და რაგვარობას, მათს საწარმოთქმო და თვისებრივ ბუნებას, ანუ **სიტყვის** ე.წ. **„ძვლებსა და სისხლძარღვებს“;**

მორფოლოგია (ბერძნ. **morphē** „ფორმა“; „სიტყვის ნაწილი, რომელსაც აქვს ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა“ **+ lógos** „სიტყვა; სწავლება“) - იკვლევს სიტყვის ფორმობრივ ცვალებადობასა და განვითარებას, მის ფორმათა მაწარმოებლებს, ანუ **სიტყვის** ე.წ. **„ხორცს, ხორციელ აგებულებას“;**

სინტაქსი (ბერძნ. **sýntaxis** „შეერთება; შედგენა“; „გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის შესიტყვების, წინადადების აგებულებას, სიტყვათა შეკავშირების წესებს“; ბერძნ. **sýntagma** „შეერთებული“) - წინადადებაში მოქცეული სიტყვის დანიშნულებას შეისწავლის, ასევე მის მიმართებასა და კავშირს ამავე წინადადებაში მოქცეულ სხვა სიტყვებთან, ანუ **სიტყვის** ე.წ. **„ხორციელი არსებობის წესს“**.

ამისგან განსხვავებით, **სემასიოლოგია** (ბერძნ. **sēmasía** „მნიშვნელობა, აზრი“ **+ lógos** „სიტყვა; სწავლება“) **სიტყვის** ე.წ. **„სულიერ ბუნებას“** - **„სიტყვის სულს“** შეისწავლის და, ამდენად, **სემანტიკით** (ბერძნ. **sēmantikós** „მნიშვნელობის მქონე“) სიტყვის საიდუმლო სულიერი მიმოხრა აღიბეჭდება.

რაც შეეხება ენათმეცნიერების დარგს, **ლექსიკოლოგიას** (ბერძნ. **léxis, lexikós** „სიტყვა, სიტყვების მარაგი; სიტყვის შესახებ **+ lógos** „სიტყვა; სწავლება“ = „ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენის ლექსიკას, სიტყვის მარაგს“) - იგი კომპლექსურად იკვლევს და შეისწავლის სიტყვას, ლექსემას, თავს უყრის ენის სიტყვიერ მარაგს და, ყოველმხრივი - ფონეტიკური, მორფო-სინტაქსური და სემანტიკური ანალიზით მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ახდენს მის ლექსიკურ-ბუდობრივ კლასიფიცირებას. ასე რომ, **ლექსიკოლოგიის** საკვლევი ობიექტია როგორც ცალკეული სიტყვა (ლექსიკური ერთეული), ვითარცა „სიტყვით შეკრული საზოგადოების წევრი“, ე.წ. „სიტყვის სახელმწიფოს მოქალაქე“, ისე სიტყვის განსაზღვრული ლექსიკურ-ბუდობრივი მარაგი, ვითარცა ამავე „საზოგადოების უჯრედი“.

წარმოგიდგენთ **სიტყვის** ე.წ. „ხორცისა და სულის“ ფორმობრივ-სემანტიკური კვალიფიკაციის თვალსაჩინოებას:

სიტყვის „ხორცი და სული“

ფონეტიკა ბერძნ. phōnētikós „ხმა; ბგერა“	**მორფოლოგია** ბერძნ. morphē „ფორმა“	**სემანტიკა** ბერძნ. sēmantikós „მნიშვნელობის მქონე“	**სინტაქსი** ბერძნ. sýntaxis „შეერთება; შედგენა“	**ლექსიკოლოგია** ბერძნ. léxis „სიტყვა; სიტყვების მარაგი“
„ძვლები და სისხლძარღვები“	**„ხორცი“**	**„სული“**	**„არსებობის წესი“**	**„საზოგადოების წევრი ან უჯრედი“**
ა ი კ ც	**კ ა ც - ი:** ***დამოუკიდებელი,** *სრულმნიშვნელოვ; ***ფორმაცვალებადი;** ***ბრუნებადი;** *არსებითი სახელი,	**„ადამიანი“**	წინადადე-ბის წევრი: ***მთავარი,** ***არამთავარი**	ა) ლექსიკური ერთეული (+ბუდე): **კაც**ობა, **კაც**ური, **კაც**თმოყვარე, **კაც**ობრიობა, **უკაც**რიელი,**უკაც**რავად... ბ) სინონიმები: **ადამიანი, ქმნილება, ცოცხალი არსება** გ) ანტონიმი: **ქალი**
ე ე ბ თ კ	**კ ე თ ე ბ ა:** ***დამოუკიდებ.** მნიშვნ; *სრულმნიშვნ.; ***ფორმაცვალებადი;** ***უღლებადი;** *ზმნა;	**„შრომით რისამე [შე]ქმნა, რაიმე საქმის შესრულება, დამზადება, წარმოება, საქმიანობა“**	წინადადების წევრი: ***მთავარი**	ა) ლექსიკური ერთეული (+ბუდე): **კეთ**ილი, გამ**კეთ**ებელი, გა**კეთ**ებული, ,**უკეთ**ური **კეთ**ილშობილი;... ბ) სინონიმები: **შექმნა, შრომა, საქმიანობა, შესრულება** გ)ანტონიმი:**გაფუჭება**
ა ა გ მ მ რ	**მ ა გ რ ა მ:** ***დამხმარე;** *დამოუკიდებელი მნიშვნ-ბის არმქონე; ***ფორმაუცვლელი;** *მაპირისპირ.კავშ.	**„უპირისპირებს ერთმანეთს საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვებს ან წინადადებებს“**	წინადადების ***არაწევრი**	ა) ლექსიკური ერთეული; ბ) სინონიმი: **თუმცა**

ქართული სიტყვიერების ერთობა:

სიტყვის „ხორცისა დ სულის“ სწორედ ამგვარად გააზრების ფონზე ამოიზარდა **ენის** პირობითი დეფინიცია - **სიტყვით შეკრული საზოგადოება**, რომელშიც მოიაზრება ის სიტყვიერი ერთობა, რომელიც შეკრულია არა მხოლოდ ნიშანთა

სისტემით, არამედ, უწინარესად, აზროვნებისა და სამყაროს შემეცნების პროცესში მონაწილე **სიტყვიერებით.** იგი იმ დიდებულ და მშვენიერ სამეფოსაც ჰგავს, რომელსაც ჰყავს მეფე-დედოფალი - ამალითა და ნაზირ-ვეზირებით, შინაყმებითა და მოახლე-მსახურებით, მსტოვრებით, უპოვარი გლახაკებითა და ლტოლვილებით.

„სიტყვის სამეფოს“ მეფე, რაღა თქმა უნდა - ზმნაა, რომელთანაც „სინტაქსურად“ შეწყვილებული ოთხივე სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი) ან დედოფლად მოიაზრება, ან სამეუფეო ამალად; ზმნიზედები - მეფის ნაზირ-ვეზირები არიან, დანარჩენნი კი „სამეფოს“ დაბალ იერარქიულ საფეხურს სჯერდებიან. ამის დასტურად, წარმოვადგენთ ქართული „სიტყვის სამეფოს“ იმ იერარქიის თვალსაჩინოებას, რომელსაც მეტყველების ნაწილები შეადგენენ:

ქართული სიტყვის „სამეფო“ (მეტყველების ნაწილები)

მეტყველების ნაწილები	დამოუკიდებელი (სრულმნ)	დამხმარე	ფორმაცვალე ბადი	ფორმაუცვლელი	ბრუნებადი	უღლებადი	წევრი	არაწევრი	სამეფოს მკვიდრნი
ზმნა	+		+			+	+		**მეფე**
სახელები (ქვემდებარე)	+		+		+	-	+		**დედოფალი**
სახელები (დამატებანი)	+			+		-	+		**მეფე-დედოფლის ამალა**
ზმნიზედა (გარემოებანი)ზედსა რთავი სახელი	+		+		+	-	+		**მეფის ნაზირ-ვეზირნი**
ნაცვალ სახელი	+		+		+	-	+		**ტვირთ-მზიდენი**
თანდებული		+		+		-		+	**შინაყმანი**
კავშირი		+		+		-		+	**მსტოვარნი**
ნაწილაკი		+		+		-		+	**უპოვარნი: გლახაკნი და ყმანი**
შორისდებული		+		+		-		+	**ლტოლ-ვილნი**

თუკი განვაგრძობთ ქართული „სიტყვის სამეფოს“ პირობითობას, ამ „სამეფოს მკვიდრთა“, ანუ მეტყველების ნაწილთა შორის მართლაც ამოიცნობა ერთგვარი იერარქიული დამოკიდებულება. ამ იერარქიული კიბის დაბალ საფეხურზე მდგომნი თავიანთ „სავალდებულო“ სამსახურს მორჩილებით აღასრულებენ მაღლა მდგომთა მიმართ: სახელები და ზმნიზედები ემსახურებიან ზმნას; ზედსართავები და რიცხვითები - არსებითს; თანდებულები და ნაწილაკები - სახელებს.

თუმცა, ამ მკვიდრთა შორის არცთუ იშვიათად მჟღავნდება სანატრელი „ორკერძოითი“ ურთიერთმსახურებაც, როცა დამოუკიდებელი, სრულმნიშვნელობიანი „მაღლა მდგომი“ მეტყველების ნაწილები შესაშური თავმდაბლობით „იტვირთებენ“ ხოლმე „დაბლა მდგომთა“ - დამხმარეთა ფუნქციებს, მაგალითად: ზმნიზედები ცალკე მდგომ თანდებულებად იმდაბლებენ თავს და ასე ემსახურებიან სახელებს, შდრ.: სახლის **წინ**, ჩემ **უკან**, მრავალთა **გარშემო**; ან კიდევ: რიცხვითი სახელი **ერთი** არ თაკილობს მსახურებას და ნაწევრად (არტიკლად) ან ნაწილაკად მიერთვის რომელიმე წევრ-სახელს: „მოიცა **ერთი**!“, „გზაზე **ერთი კაცი** მიდიოდა“ .

ასევე უაღრესად საგულისხმოა მეტყველების ნაწილთა, უწინარესად კი - სახელების „მონდომებული“ მაღალპროდუქტიულობა სიტყვათწარმოებისას, შდრ.:

ქუდ-ი →: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი (**ქუდ**-იან-ი, უ-**ქუდ**-ო, **ქუდ**-ბედ-იანი), 3. ზმნიზედა (**ქუდ**-იან-ად, უ-**ქუდ**-ო-დ);

ერთ-ი →: 1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი, 2. რიგობითი (ძვ.ქართ. „მეორე“), 3. ზედსართავი (ძვ.ქართ. „მთელი“), 4. ნაცვალსახელი (ძვ.ქართ. „ვინმე“), ზმნიზედა (**ერთ**-ად „ერთად“, ძვ.ქართ. **ერთ**-ად „პირველად“); 5. განუსაზღვრელი ნაწევარი (ძვ.ქართ. კაცი **ერთ**ი - „იყო **ერთ**ი კაცი“); 6. ნაწილაკი - „კა(რ)გი **ერთ**ი, თუ კაცი ხარ!“);

ზოგ-ი →: 1. ნაცვალსახელი, 2. ზედსართავი (ძვ.ქართ. **ზოგ**-ად-ი „საერთო, საზოგადო“), 3. რიცხვითი სახელი (ძვ.ქართ. **ზოგ**-ი, **ზოგ**ის-**ზოგ**-ი „ნახევარი“), 4) ზმნიზედა (ძვ.ქართ. **ზოგ**-ად „ერთად; საერთოდ, საზოგადოდ“, ძვ.ქართ. **ზოგ**-ებ-ით, **ზოგ**სრაჲმე „ნაწილობრივ, ცალ-ცალკე“), 5) ზმნა (ძვ.ქართ. გან-**ზოგ**-ება „განახევრება; გაყოფა“, სა**ზოგ**ადო-ყოფა „საყოველთაოდ ქცევა“; და ა.შ.

საკითხის ამგვარი „გაცოცხლება“ ათვალსაჩინოებს და ხელმისაწვდომს ხდის შემოთავაზებული კონკრეტული შესასწავლი მასალის მთლიანობრივად აღქმასა და გააზრებას, იმის გამჭვირვალედ ჩვენებას და მიწოდებას, რომ **ენა** საკვირველად მოწესრიგებული **სისტემაა,** შინაგანი კანონზომიერებით შეკრული იმგვარი ერთობა, რომელიც მართლაც გვაგონებს **სიტყვით შეკრულ საზოგადოებას** თუ **სამეფოს.**